



Tax and Legal Newsletter



ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა სოციალურ-

საშემოსავლო გადასახადი (ეს ინციატივა ჯერ მხოლოდ გაცხადებულია თუმცა შესაბამისი ცვლილება საგადასახადო კოდექსში არ განხორციელებულა)

2020 წლის 1 მაისიდან 6 თვის განმავლობაში, თვეში 750 ლარის ხელფასზე საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც დაქირავებით არიან დასაქმებულები და ამ 6 თვიან პერიოდში, თითოეულ თვეში მათი ხელფასი არ აღემატება 1,500 ლარს.

შეღვათით ისარგებლებენ მხოლოდ კერძო სექტორში მოღვაწე პირები.

ის საწარმოები, ვინც უფლებამოსილი არიან ისარგებლონ შეღვათით, მაისი-ოქტომბრის პერიოდში, ხელფასების გაცემის დროს საშემოსავლო გადასახადს:

- საერთოდ არ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც 750 ლარი ან უფრო ნაკლებია;
- ნაწილობრივ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც მეტია 750 ლარზე და არ აღემატება 1,500 ლარს. ამ შემთხვევაში დარიცხულ ხელფასს აკლდება 750 ლარი და დარჩენილი თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით;

- სრულად გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელზეც კონკრეტულ თვეში ხელფასი იქნება 1,500 ლარზე მეტი;

დაქირავებულთა დახმარება, რომელთაც აღარ ერიცხებათ ხელფასი

აღნიშნული პირების დასახმარებლად დაწესდა 1,200 ლარიანი კომპენსაცია, რომლის გაცემა განხორციელდება მომდევნო 6 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით. კომპენსაციის მიღება შეეძლება იმ დაქირავებულებს, რომლებიც 2020 წლის პირველი სამ თვეში (იანვარი, თებერვალი, მარტი) ერთხელ მაინც აქვთ აღებული ხელფასი და ამის შესახებ მის დამქირავებელს საგადასახადო დეკლარაციასთან ერთად შემოსავლების სამსახურში წარმოდგენილი

აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ პირზე გაიცა ხელფასი.

თვითდასაქმება

თვითდასაქმებულებისთვის კომპენსაციის მოცულობა განსაზღვრულია ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით.

კომპენსაციის მისაღებად აუცილებელია დასტურდებოდეს, რომ ეს პირი 2020 წლის პირველ კვარტალში ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდა შემოსავალი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 65,000-დან 100,000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მყოფი ოჯახები

საკომპენსაციო თანხა ოჯახის თითოეულ წევრზე შეადგენს თვეში 35 ლარს და შესაბამისად მისი ჩარიცხვა მოხდება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100.000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მყოფი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ბავშვი

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, ყოველთვიურად ბავშვებზე დანიშნულ დახმარებასთან ერთად, ამ ოჯახებს დამატებით ჩაურიცხავს 100 ლარს.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.

სოციალურად პირებს არ დასჭირდებათ დამატებით რაიმე განაცხადის ან დოკუმენტაციის წარდგენა.

2020 წელს შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული სიტუაციური სახელმძღვანელოები

ზოგადად შემოსავლების სამსახურის სიტუაციური სახელმძღვანელოების სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მათ ნორმატიული საფუძველი არ გააჩნიათ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ბს-449-446(2კ-17), რადგან არც საგადასახადო კოდექსი და არც შემოსავლების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი მსგავსი შინაარსის აქტის გაცემის შესაძლებლობას არ იცნობს. იმდენად, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი შეიძლება იყოს საკანონმდებლო აქტით მსგავსი უფლებამოსილების ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭება, შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე გამოცემული აქტი არ შეიძლება იქნას განხილული როგორც ნორმატიული აქტი და მაშასადამე შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, თუმცა მათი გათვალისწინება გადამხდელისათვის საგადასახადო რისკების ანალიზისას მნიშვნელოვანია.

2020 წელს შემოსავლების სამსახურმა მიიღო რამოდენიმე ახალი სიტუაციური სახელმძღვანელო. ქვემოთ განხილულია ამ სიტუაციური სახელმძღვანელოებში შემოსავლების სამსახური მიერ დაფიქსირებული შეფასებები:

მანუალი#2656 - აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს თიზ-ის საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირისათვის მომსახურების გაწევისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს. მანუალში დაფიქსირებულია შემოსავლების სამსახური შემდეგი პოზიციის ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ არ არის განსაზღვრული თიზ-ის საწარმოს მიერ არარეზიდენტისათვის გასაწევი მომსახურების სახეების და შესაბამისად თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობების ჩამონათვალი, თიზ-ის საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირებისთვის მომსახურების გაწევა არ უნდა იქნეს განხილული თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართულ საქმიანობად და შესაბამისად, მასზე არ უნდა გავრცელდეს სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტით (მოგების გადასახადისგან განთავისუფლება) დადგენილი შეღავათი.

მანუალი#11128 - აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დღგ-ს

პროპორციულ ჩათვლების გამოთვლისას, ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებზე ჩამორიცხული ავანსის თანხების მონაწილეობის საკითხს. მანუალში დაფიქსირებული შემოსავლების სამსახური პოზიციის მიხედვით: დღგ-ს საანგარიშო პერიოდში ჩასათვლელი დღგ-ს თანხის ანგარიშისას გამოყენებულ პროპორციულ გამოთვლებში, მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საანგარიშო პერიოდში ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებზე ჩამორიცხულმა ავანსის თანხებმაც.

მანუალი#2539 - აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს პირის მიერ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში დაქირავებული პირების ორგანიზებული გადაყვანის დაბეგვრის საკითხს. მანუალში დაფიქსირებული შემოსავლების სამსახური პოზიციის მიხედვით, ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება შეჩერდა საქართველოს კანონმდებლობით (მთავრობის დადგენილებით) და დაქირავებულთა ტრანსპორტირების გარეშე შეუძლებელია პირის(დამქირავებლის) ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება, დაქირავებულთა სხვადასხვა ფორმით ორგანიზებულ გადაყვანასთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოიქმნება.

მანუალი#2537 - აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ცალკეულ საქმიანობებში უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების დაბეგვრის საკითხს. მანუალში დაფიქსირებული შემოსავლების სამსახური პოზიციის მიხედვით, ბაზრობის ტერიტორიაზე იჯარით აღებულ ფართში არასასურსათო საქონლით მოვაჭრე სუბიექტებისათვის საქმიანობის შეჩერების პერიოდში, იჯარის თანხის მეიჯარისათვის გადაუხდელობისას, იჯარის მომსახურებას არ მიენიჭება უსასყიდლო მომსახურების კვალიფიკაცია და შესაბამისად, მხარეებისათვის ასეთი მომსახურება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტად (შემოსავლად, სარგებლად) არ განიხილება.

მანუალი#2538 - აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების საკითხს. მანუალი განსაზღვრავს, რომ თუ პირის საქმიანობის შეჩერება გამოწვეულია მისი ნებისგან დამოუკიდებლად, საქართველოს კანონმდებლობით (მთავრობის დადგენილებით) შესაბამისად, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების თაობაზე

საგადასახადო ორგანოს ინფორმირების განუხორციელობლობის შემთხვევაში, პირს საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება, ხოლო თუ იგი საგანგებო მოქმედების პერიოდში საკუთარი ნებით აჩერებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას პირი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

მანუალი#11127 - აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საბაჟო დეკლარაციით დღგ-ს ჩათვლის საკითხს. მანუალის მიხედვით საბაჟო დეკლარაციით ჩათვლის განხორციელება, მათ შორის დეკლარაციის დაზუსტების გზით შესაძლებელია ხანდაზმულობის 3 წლიან ვადაში, ამასთან იმ საანგარიშო პერიოდებში, (მაგრამ არაუგვიანეს კალენდარული წლის დეკემბრის თვის), რომელშიც განხორციელდა საქონლის იმპორტი.

მანუალი#11126 - სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დღგ-ის მიზნებისათვის საბაზრო ფასის გამოყენების საკითხს, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე. მანუალი განსაზღვრავს, რომ თუ პირთა ურთიერთდამოკიდებულებამ გავლენა იქონია გარიგების შედეგებზე. (მაგ საბაზრო ფასი აღემატება გარიგების ფასს 10 და მეტი პროცენტით, ან/და ამასთან გარიგების მხარეს წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირი) დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საბაზრო ფასით დღგ-ს გარეშე.

მანუალი#1425 - სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სამედიცინო დაწესებულების დაუმთავრებელ მშენებლობაზე ქონების გადასახადის საკითხს. მანუალის მიხედვით თუ პირი აშენებს სამედიცინო დაწესებულებას, მან ქონება - დაუმთავრებელი მშენებლობა, სამედიცინო საქმიანობაში გამოყენებამდე უნდა დაბეგროს ქონების გადასახადით.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის #2 ბრძანებით, საქართველოში გახანგრძლივდა პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 ბრძანებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით. შესაბამისად საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი ძალაში იქნება 2020 წლის 22 მაისის 24 საათამდე, თუ პრეზიდენტის ახალი ბრძანებით საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი არ გახანგრძლივდება.

თავის მხრივ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი განსაზღვრულია როგორც პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 ბრძანებით, ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მარტის #181 დადგენილებით.

შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი გულისხმობს შემდეგი შეზღუდვების დაწესებას:

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა

საგანგებო მდგომარეობის ვადით შეზღუდულია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება დისტანციურად, მხოლოდ სახლიდან (სახლიდან გაუსვლელად). შეზღუდვა არ ვრცელდება ასევე:

- სამედიცინო დაწესებულების საქმიანობაზე;
- სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაციაზე, ასევე მათ წარმოებაზე, შენახვაზე, საბითუმო ვაჭრობასა და დისტრიბუციაზე, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოებაზე;
- ღია ტიპის აგრარული ბაზრების/ბაზრობების საქმიანობაზე;
- წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხოვების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობაზე;
- ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოებაზე/გადაცემაზე/განაწილებაზე/მიწოდებაზე, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდებაზე, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაზე;
- კომერციული ბანკების საქმიანობაზე;

- იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობაზე, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კოსკების მეშვეობით;
- საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობაზე;
- ბანკომატების, თვითმომსახურების კოსკებისა და პოსტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობაზე;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე;
- საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდებაზე/რეალიზაციაზე;
- სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებაზე/დისტრიბუციაზე/რეალიზაციაზე;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე;
- მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურებაზე;
- მიტანის მომსახურებაზე (ე. წ. „დელივერი სერვისი“);
- დისტანციურ (ე.წ. „ონლაინ“) ვაჭრობაზე, თუ სამუშაო ადგილზე/საწყობში არაუმეტეს 5 ადამიანია დასაქმებული;
- კერძო დაცვით საქმიანობაზე;
- საადვოკატო საქმიანობაზე;
- ავტოტექნომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობაზე;
- პრესის ჯიხურების საქმიანობაზე;
- ნავთობის და გაზის მოპოვებაზე, გადამამუშავებაზე;
- დასაწყობებისა და შენახვის საქმიანობაზე, თუ სამუშაო ადგილზე/საწყობში არაუმეტეს 5 ადამიანია დასაქმებული, გარდა საბაჟო საწყობებისა;
- დაშვებული ეკონომიკური საქმიანობებისთვის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოებაზე, მიწოდებასა და რეალიზაციაზე, აგრეთვე ეტიკეტირებისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საქმიანობაზე.

მთავრობის დადგენილება ასევე ითვალისწინებს ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალს და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ კონკრეტულ სუბიექტებს, რომელთაც საგანგებო

მდგომარეობის რეჟიმის დროს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე არ ეკრძალებათ საქმიანობის განხორციელება.

მიმოსვლის შეზღუდვა

შეზღუდვა ეხება საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლას, ასევე ქვეყნის შიდა გადაადგილებას სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისას, საქალაქთაშორისო ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანას ტაქსებით, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებას. გარდა ამისა, დაგანგებო მდგომარეობის ვადით აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება, თანაც იმ პირობით თუ მგზავრები განთავსდებიან მძღოლის უკანა სავარძელზე.

მიმოსვლის შეზღუდვა მოქმედებს ასევე დროში, დღე-ღამის განმავლობაში როგორც სატრანსპორტო საშუალებით ასევე ქვეითად გადაადგილება აკრძალულია 21:00 საათიდან 06:00 საათამდე.

მიმოსვლის შეზღუდვა არ ეხება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებს.

ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლისა და გასვლის შეზღუდვა

ცალკეული გამონაკლისების გათვალისწინებით, საგანგებო მდგომარეობის ვადით - 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით, იკრძალება ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა და გასვლა.

შეკრებებისა და მანიფესტაციების, აგრეთვე საჯარო სივრცეში თავშეყრის შეზღუდვა

იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 3 პირზე მეტი რაოდენობით. დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას ყველა პირი ვალდებულია, ატაროს პირბადე. თავის მხრივ საჯარო სივრცე დადგენილების მიხედვით განმარტებულია როგორც ნებისმიერი ადგილი (როგორც ჭერქვეშ, ისევე გარეთ), თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს. შეზღუდვა არ ვრცელდება იმ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებზე, რომელთა საქმიანობა დასაშვებ საქმიანობათა ჩამონათვალში ექცევა. სამშენებლო-ინფრასტრუქტურული საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება თუ მათ მიერ სამუშაოების შესრულება შეთანხმებულია ოპერატიულ შტაბთან.

კერძო საკუთრების შეზღუდვა

დადგენილების მიხედვით, იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ ან/და შეუძლიათ განახორციელონ სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობა, ასევე, შეუძლიათ განახორციელონ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა ან/და საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანა-გადაზიდვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პირველივე მოთხოვნისთანავე, ვალდებული არიან განახორციელონ მითითებული საქმიანობა.

სხვა პირობები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, დაწესებულია ასევე სხვა რიგი შეზღუდვებისა, დაკავშირებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით.

ცვლილებები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

2020 წლის 23 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი, რომლებიც ამოქმედდება 2020 წლის 2 მაისიდან. ცვლილების თანახმად, კრიმინალიზაციას ექვემდებარება იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა, კერძოდ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა, ამავე ქმედებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ, ან ამავე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ დაექვემდებარება პენალიზაციას შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. აღნიშნული ქმედებისთვის იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

ასევე დასჯადი ხდება საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან/და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა თუკი ასეთი ქმედება ჩადენილი იქნება, იგივე ქმედებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ან/და განმეორებით.

მითითებული დანაშაულისთვის იურიდიული პირი დაისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ იქნება დადგენილი.

აღნიშნული ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში ძალაში შედის 2020 წლის 2 მაისიდან.

თავის მხრივ ახალი მუხლები ემატება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსაც, რომლის მიხედვითაც საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა, ასევე იზოლაციის ან/და კარანტინის წესების დარღვევა, ჩადენილი პირველად, განხილული იქნება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და გამოიწვევს - იზოლაციის ან/და კარანტინის წესების დარღვევისთვის - ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარის, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის რეჟიმის

დარღვევისთვის - ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

ცვლილება ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსში ძალაში შედის 2020 წლის 2 მაისიდან.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.